პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გარდა ამისა, „მექანიკის ინჟინერიის“ ბაკალავრიატის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი პირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო საგნად ინგლისური ენის ჩაბარება და 70%-იანი ან მეტი ბარიერის გადალახვა, ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი არანაკლებ B1 დონის სერტიფიკატი.

მსგავსი დოკუმენტის არ არსებობის შემთხვევაში აპლიკანტი აბარებს გამოცდას საგამოცდო ცენტრში უცხოურ (ინგლისურ) ენაში.

აპლიკანტს, რომელსაც მიღებული აქვს ზოგადი განათლება ინგლისურ ენაზე, გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება.

პროგრამის მიზანია:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარით აღჭურვილი ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში, რომელსაც ეცოდინება:

მიზანი 1. მექანიკის ინჟინერიის და თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიების ფუნდამენტური პრინციპები და თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფად განვითარებად გარემოში მათი გამოყენება;

მიზანი 2. წარმოების სხვადასხვა დარგის ფუნქციონალური დანიშნულების მანქანა-დანადგარების და მანქანათა სისტემების აგების პრინციპები და მეთოდოლოგიური მიდგომები;

მიზანი 3. პროდუქციის წარმოებისა და მომსახურებისთვის განკუთვნილი მანქანა-დანადგარების ასევე, ცალკეული ნაკეთობებისა და მოწყობილობების დაპროექტება, წარმოება, დიაგნოსტიკა და ტექნიკური მომსახურება.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

ჩამოთვლის მექანიკის ინჟინერიასთან დაკავშირებულ საბუნებისმეტყველო და ზოგადსაინჟინრო მეცნიერების პრინციპებსა და თეორიებს ფართოდ გავრცელებული თეორიების ზოგიერთი უახლესი ცოდნის ასპექტზე დაყრდნობით;

აღწერს მექანიკის ინჟინერიის სფეროს მანქანა-დანადგარების, მოწყობილობებისა და ცალკეული ნაკეთობების პროექტირების, განვითარების, ექსპლუატაციის და რემონტის საკითხებს ზოგადი, ტექნიკური და დარგობრივი ფართო ცოდნის საფუძველზე;

იცავს საწარმოო ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების ტექნიკურ და ექსპლუატაციის ნორმებს, უსაფრთხოების მოთხოვნებს და საერთაშორისო სტანდარტებს;

განსაზღვრავს პროექტირების და ექსპერიმენტების ჩატარების შედეგად მიღებული მონაცემების შედეგებს, დარგის სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით;

აკავშირებს მანქანა-დანადგარების კონსტრუირების, ექსპლუატაციის, რემონტის და საწარმოთა დაპროექტების მნიშვნელოვან ასპექტებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

მონაწილეობს მანქანების და მანქანათა სისტემების ავტომატიზებულ, ელექტრომექანიკურ, ელექტროჰიდრავლიკურ და ელექტროპნევმატიკურ ამძრავთა დაპროექტებაში, რეგულირებასა და მართვაში ხელმძღვანელის მითითებით;

იყენებს თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს მექანიკის ინჟინერიის, წარმოების საშუალებებისა და მექანიკურ საწარმოთა დაგეგმარების სამუშაოთა შესრულებისას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

წარმოადგენს მოსაზრებებს, პრეზენტაციებს, დასკვნებს მექანიკის ინჟინერიაში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კონტაქტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

გეგმავს შემდგომი სწავლის პროცესის საჭიროებას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი

სკალით. დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვსშესასწავლი.

FX -ის მიღების შემთხვევაში სტუ ნიშნავს დამატებითი გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების პროგრამული ნაწილი შედგება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისგან. შუალედური შეფასება თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა არაუმეტეს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა – არანაკლებ 40.

შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 30 ქულისა). შუასემესტრული

გამოცდისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული მოცემულია რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.

,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესის" და „საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესის" შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია" სადაც სტუდენტი შეძლებს ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დეტალურად გაცნობას.

მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1.	საინჟინრო მათემატიკა 1.1	5
2.	ზოგადი ფიზიკა A	4
3.	ზოგადი ქიმია A	4
4.	მხაზველობითი გეომეტრია	3
5.	შესავალი მექანიკის ინჟინერიაში	3
6.	საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლები	4
7.	თავისუფალი კომპონენტი 1	5
8.	შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	3
9.	საინჟინრო მათემატიკა 2.1	5
10	ზოგადი ფიზიკა B	5
11.	გეგმილურიდა სამანქანათმშენებლო ხაზვა	6
12.	აკადემიური წერის ელემენტები	3
13.	თეორიული მექანიკა 1	5
14.	თავისუფალი კომპონენტი 2	5
15.	ზოგადი მასალათმცოდნეობა	5
16	თავისუფალი კომპონენტი 3	5
17.	გარემოს დაცვა და ეკოლოგია	3
18.	მასალათა გამძლეობა	5
19.	კომპიუტერულისაინჟინრო გრაფიკა/ AUTODESK AutoCAD Mechanical	4
20.	მექანიზმების და მანქანების თეორია	5
21.	თეორიული მექანიკა 2	5
22.	ელექტრული ინჟინერია და ელექტრონიკა	6
23.	CAD/CAE ტექნოლოგიები Autodesk Inventor-ის გამოყენებით	6

24.	საინჟინრო თერმოდინამიკა და თბური პროცესები	5
25.	მანქანათა ნაწილები 1	6
26.	თავისუფალი კომპონენტი 4	5
27.	მანქანათა ნაწილები 2	6
28.	ავტომატური რეგულირების სისტემები	6
29.	ჰიდრავლიკური და პნევმატიკური ამძრავები	6
30.	სენსორები და ტექნიკური გაზომვები	6
31.	მექანიკური ვიბრაციები	5
32.	ჰიდრავლიკური და ელექტროჰიდრავლიკური ამძრავები	5
33.	CNC-ის პროგრამირება	5
	ძირითადი სფეროს არჩევითი სავალდებულო სასწავლო კურსები	
34.1	აეროდინამიკა	5
34. 2	აეროტექნოლოგიები	5
35	პროგრამირების საფუძვლები	5
36.	თავისუფალი კომპონენტი 5.	5
37	წარმოების ინჟინერია 1	6
38	პნევმატიკიკური და ელექტროპნევმატიკური ამძრავები	8
39	პრაქტიკა მექანიკის ინჟინერიაში	6
40	წარმოების ინჟინერია 2	6
41.	**ძირითადი სფეროს არჩევითი სავალდებულო სასწავლო კურსები**	
41.1	მექანიკური საწარმოთა პროექტირება	5
41.2	მჭრელი იარაღების პროექტირება	5
41.3	რობოტიკა	5
42	მოქნილი საწარმოო სისტემები	5
43	კომპიუტერულ ინტეგრირებული დიზაინი და წარმოება	5
44	მენეჯმენტი ინჟინრებისათვის	5
45	თავისუფალი კომპონენტი 6	5
46	LabView-ს გამოყენება მექანიკის ინჟინერიაში	7
47	საბაკალავრო ნაშრომი	8
	თავისფალი კომპონენტი (7, 14, 16, 26, 36, 45)	

1	საერთაშორისო მენეჯმენტი	5
2	ეკონომიკის პრინციპები	5
3	საქართველოს ისტორია და კულტურა	5
4	სოციოლოგია	5
5	ფილოსოფიის შესავალი	5
6	ქართული ენა 1(არაქართულენოვანთათვის)	5
7	ქართული ენა 2(არაქართულენოვანთათვის)	5
8	ქართული ენა 3(არაქართულენოვანთათვის)	5
9	ქართული ენა 4(არაქართულენოვანთათვი)	5
10	საზოგადოებასთან ურთიერთობა 2	5
11	ბრენდინგი 2	5
12	ონლაინ კომუნიკაცია და ციფრული მარკეტინგი	5
13	პოლიტიკის საფუძვლები	5